ეკონომიკა და კულტურის სექტორი: შესაძლოა თუ არა მათ შორის უფრო დიპლომატიური ურთიერთობის მიღწევა?

დეივ ო'ბრაიანი

მარტი 2012

მხოლოდ იმ კუთხით დაინტერესების ნაცვლად, რა ინფორმაციას გვაძლევს ეკონომიკა კულტურული აქტივობების ღირებულების შესახებ, იქნებ კითხვა მეორე მხრივაც დაისვას – რას გვასწავლის კულტურული აქტივობები ეკონომიკის გასაუმჯობესებლად.

ეკონომიკისთვის რომ კულტურის სფერო რთული საკითხია, ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ჰომო ეკონომიკუსისთვის, რაციონალური ინდივიდისთვის, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი მწირი რესურსების რეალიზებას, ძნელია ადგილის პოვნა ისეთ სოციალური აქტივობის ფორმაში, როგორიც კულტურაა. ხშირად რთული ხდება კულტურის პროდუქტების მონეტარული შეფასება, განსაკუთრებით, თუკი ისინი წარმოდგენილი და ხელმისაწვდომია ღია სივრცეებში, მაგალითად, მონუმენტები, მურალები, ან უფასო მუზეუმები.

გარდა ამისა, კულტურასთან შემხებლობაში მყოფთათვის მიღებული სარგებლის დათვლა, იქნება ეს აუდიტორია, მონაწილეები, თუ პროდიუსერები, ბევრად რთულია, მით უფრო, რომ ეს სარგებელი ნაკლებად ხელშესახებია სუფთა ჰაერის, ან ჯანდაცვის სფეროდან მიღებულ სარგებელთან შედარებით.

მუსიკის, ვიზუალური ხელოვნების, ცეკვისა და კულტურული მემკვიდრეობის საჯარო დაფინანსების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია ამ სფეროს სარგებლის მოცულობის დათვლა და იმის დაშვებაც კი, რომ ეს ყველაფერი ციფრებში გაიზომოს, კულტურის ძირეულ საწყისებთან მოდის წინააღმდეგობაში. თუმცა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხელოვნებისთვის ფასის დადება სირთულეს წარმოადგენს და წინააღმდეგობაში მოდის ნეო-კლასიკური ეკონომიკის მიდგომებთან, არ ნიშნავს რომ კანონმდებლებმა უფრო ფართოდ არ უნდა შეისწავლონ ბაზრისა და კულტურის ურთიერთქმედების ხასიათი.

კულტურასა და საბაზრო ეკონომიკას შორის დიალოგის ახალი ფორმების წარმოდგენა შესაძლებელია.

კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS) ჩართულია კვლევის პროგრამასა და დებატებში, რომელიც კულტურის პოლიტიკაში მთვლელებს შეეხება. ეს ახალი, ან რევოლუციური დისკუსია არ არის. საკითხი, თუ როგორ მოვარგოთ ხელოვნება და კულტურა ცენტრალური ხელისუფლების საფინანსო და საბუღალტრო პრაქტიკას, უკვე დიდი ხანია დღის წესრიგში დგას. 1980-იანი წლებიდან, ორი საზომი – ხელოვნების „ეკონომიკური ზემოქმედებისა" და „სოციალური ზემოქმედების" შესახებ, ყველაზე პოპულარული გზა გახდა კულტურის სექტორში ინვესტიციების განკარგვისთვის.

მიმდინარე დებატებში სიახლეს წარმოადგენს ის ასპექტი, რომ კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS) იკვლევს შესაძლებლობებს, თუ როგორ შეუწყოს ხელი კულტურის პოლიტიკის უაითჰოლის სხვა ნაწილებთან შესაბამისობაში მოყვანას ხაზინის უკვე არსებული ეკონომიკური რეკომენდაციებით. სახაზინო რეკომენდაციები გვთავაზობს, რომ საჯარო პოლიტიკის რაციონალურობა განხილულ იქნას „საბაზრო დანაკარგის“ ჩარჩოში და ჩარევის გადაწყვეტილება (ან არ ჩარევის) მიღებული იყოს ფულადი ღირებულების საფუძველზე. ხაზინის ეს მიდგომა გავრცელებულია სატრანსპორტო, გარემოს დაცვითი და ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში არსებულ საკითხებთან მიმართებით, გამოიყენება რა სხვადასხვა ტექნიკა მგზავრობის დროის, სუფთა ჰაერის, ან ჯანსაღი ცხოვრების ღირებულების დასადგენად.

სამართლიანი იქნება ითქვას, რომ სახაზინო რეკომენდაციებზე დაყრდნობით შექმნილ პოლიტიკური შეფასების სისტემას, როგორც ეკონომიკურ მოდელს, რომელიც საჯარო პოლიტიკასა და საბაზრო დანაკარგების აღმოფხვრის მიდგომას სინონიმებად განიხილავს, დიდი გავლენა აქვს უაითჰოლში.

თუმცა, პოლიტიკის წარმოების ეს მიდგომა კვლავ წინააღმდეგობაში მოდის კულტურის სფეროს სიკეთეებთან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის პოლიტიკაში შეფასების ეკონომიკური მიდგომები ხშირად შორს არის კულტურის სექტორის მოღვაწეებისა და ადმინისტრატორების (ხშირად აუდიტორიისაც) შეხედულებებისა და ღირებულებებისგან. თუმცა, თუ ეკონომიკას უჭირს კულტურის სფეროს სიკეთეების აღქმა, კულტურული აქტივობების შინაარსის გააზრებამ შესაძლოა ეკონომიკისა და ბაზრის საზღვრების გამოკვეთას შეუწყოს ხელი, რაც, თავის მხრივ, საჯარო პოლიტიკის უკეთ წარმოებას შეუწყობს ხელს. ამის მიღწევა ორი გზითაა შესაძლებელი.

პირველი, კულტურის გააზრებისას, საბაზრო ვარაუდებზე დაფუძნებული პოლიტიკური ჩარჩოს გამოყენების პრობლემაა, ვინაიდან ეს, თავის მხრივ, გარდაუვალად წარმოშობს კულტურის სფეროს სარგებლის ფინანსურ მთვლელებთან შეუსაბამობის პრობლემას. ეკონომისტები და კულტურის სექტორის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, განსხვავებულ და შეუთავსებელ ენაზე საუბრობენ.

პოლიტიკური ფილოსოფოსის, რასელ კიტის ნაშრომი ამ ჩიხიდან გამოსვლის გზას გვთავაზობს, ხაზს უსვამს რა კულტურის სფეროს სიკეთეების იმ უნიკალურ როლს, რომელსაც ისინი ბაზრების გამართულად ფუნქციონირებაში ასრულებენ.

ბაზრის ფუნქციონირება დამოკიდებულია ადამიანების არჩევანსა და გადაწყვეტილებებზე, თუ რას და რამდენად აფასებენ. იმისთვის, რომ ფასები და ეკონომიკური ღირებულებები გავიაზროთ, ინფორმირებულად განსჯა უნდა შეგვეძლოს, ესა თუ ის საგანი, ან აქტივობა რა სარგებელს მოუტანს ჩვენს ღირებულებით სისტემას. ღირებულების განსაზღვრისთვის საჭიროა ადამიანს ჰქონდეს ხედვა, როგორ გამოიყურება მისი აზრით კარგი (ან დამაკმაყოფილებელი) ცხოვრება და რას შესძენს სხვადასხვა ეკონომიკური გადაწყვეტილებები ამ ხედვას. ეკონომისტები ამ ყველაფერს იაზრებენ. ავიღოთ კვების ინდუსტრიის მაგალითი: ერთმა ინდივიდმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ მის კარგ ცხოვრებაში შოკოლადის გემო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიგამხდრე. უფრო მნიშვნელოვანზე

ორიენტირებული ხედვის შესაძლებლობა კი ყველაზე მტკიცედ კულტურის სფეროში გვხვდება, რადგან როგორც კიტი ამტკიცებს:

„კულტურის სფეროს სიკეთეების უმეტესობისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომ პირდაპირ თუ ირიბად ისინი მიემართებიან და ჩასწვდებიან ადამიანის კარგად ყოფნის ბუნებას და ამისკენ მიმავალ გზებს და რომ მათი გამორჩეულობა მნიშვნელოვანწილად მდგომარეობს იმაში, რომ მათ აუდიტორიას ეძლევა შესაძლებლობა, ეს მიგნება სხვა ცხოვრებისეულ სიკეთეებზეც ასახონ, შესაბამისად, მათთვის ამ სიკეთეების ღირებულება უკეთ შეაფასონ“.

კულტურული ინსტიტუციების როლის ამგვარ გაგებაში იკვეთება კულტურის სფეროს სიკეთეების მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც არასაბაზრო უზრუნველყოფის შესაძლებლობებს გვიჩვენებენ. კულტურის სფეროს სიკეთეების გარეშე, ბაზრისა და ფასების შეზღუდული ხედვის ფარგლებში, საზოგადოება დაკარგავდა ღირებულებათა სისტემის ფორმირების შესაძლებლობას, რომელსაც ის კულტურული აქტივობების, არტეფაქტებისა და კულტურული ინსტიტუტების დახმარებით ახდენს და ამით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზრის ფუნქციონირებასაც მიადგებოდა ზიანი. ჩვენ დავკარგავდით საბაზრო ქმედებების განსჯის უნარსა და როლს სახაზინო რეკომენდაციებით განსაზღვრულ ეკონომიკურ აქტივობებში, ასევე, გავწყვეტდით იმგვარ გადაწყვეტილებებთან კავშირს, რომლებიც, ეკონომისტების აზრით, მსოფლიოს ქმნიან. ამ არგუმენტის საფუძველზე, კულტურის სექტორს შეუძლია დაგვეხმაროს საბაზრო სექტორის საზღვრების დადგენაში და წვლილი შეიტანოს ადამიანის საქმიანობის უფრო სრულყოფილი ხედვის შემუშავებაში, იმასთან შედარებით, რასაც ამჟამად ეკონომიკა გვთავაზობს.

ბაზრის საზღვრების გამოკვეთის გარდა, კულტურას ახასიათებს კიდევ ერთი ასპექტი, რითაც ეკონომიკის უკეთესი ფორმის შემოთავაზება შეუძლია. კულტურული აქტივობის სხვადასხვა ფორმები ისეთ ცნებებს ეხებიან, როგორებიცაა: ნდობა, სიყვარული, მეგობრობა, იდენტობა, ეროვნულობა და თემი (ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია), საკითხები, რომლებიც კომპლექსური და საკამათოა. სიყვარულის, ან მეგობრობის ფასის თვალსაზრისით განხილვის შემთხვევაში, მათი სხვა საბაზრო პროდუქტამდე დაყვანა მოგვიწევდა, პროდუქტებამდე, რომლებიც რაიმე მახასიათებლით, შესაძლოა, ენაცვლებოდეს მათ და რომელსაც უკვე აქვს დაწესებული ფასი. ასეთი იდეები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ღირებულია, რადგან მათი ფასის დადგენა და ბაზარზე ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, ეკონომისტები მზად არიან ამის მისაღებად. ნობელის პრემიის ლაურეატის, ეკონომისტ კენეტ ეროუს ცნობილ გამონათქვამში, „ნდობის“ ცნება აღწერილია როგორც სიკეთე, რომლის ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია, თუმცა უმნიშვნელოვანესია ბაზრის ფუნქციონირებისთვის:

„როცა რაღაცის ყიდვა გიწევთ, გიჩნდებათ გარკვეული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რა შეიძინეთ. ნდობა და მსგავსი ღირებულებები, ლოიალობა, ან სიმართლის თქმა, მაგალითებია იმისა, რასაც ეკონომისტები „გარეგან ეფექტებს“ უწოდებდნენ. ეს საქონელია, რომელსაც რეალური, პრაქტიკული ეკონომიკური ღირებულება აქვს; ისინი მეტად ეფექტურს ხდიან სისტემას, საშუალებას გაძლევენ აწარმოოთ იმ ღირებულების მეტი საქონელი, რომელიც ყველაზე ძვირად ფასობს

თქვენთვის. მაგრამ ეს არ არის საქონელი, რომლისთვისაც ღია ბაზარზე ვაჭრობა ტექნიკურად შესაძლებელია, ან რაიმე აზრი აქვს“.

კულტურული ინსტიტუციები მახასიათებლებით ისეთ ორგანიზაციებს ჰგავს, როგორებიცაა მუზეუმები, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის გამოხატვას და ღირებულებების იმ გზით ჩვენებას, რაც ცდება ბაზრის ჩარჩოებს. ასეთია, მაგალითად, ესთეტიკა ხელოვნების გალერეებში. ამით ხელოვნებისთვის ბაზრის მნიშვნელობას კი არ უარვყოფთ, არამედ ვაჩვენებთ, თუ როგორ შეიძლება რომ კულტურის ბუნება ბაზრის მიერ დაწესებულ ჩარჩოებს და მოცემულობას გასცდეს.

შესაძლოა, ასეთი კულტურული აქტივობის შეფასება საბაზრო კრიტერიუმებით არ მოხდეს და საერთოდაც, ამ აქტივობების საბაზრო კრიტერიუმებისთვის დაქვემდებარებამ ძირი გამოუთხაროს კულტურული აქტივობის ძირითად მიზნებს. ამგვარად, იკარგება ის ძირითადი შინაარსი და მნიშვნელობა, რომელიც თავდაპირველად კულტურასთან იყო დაკავშირებული (და შესაძლოა ის, რამაც შესაძლებელი გახადა კულტურის ფულად ღირებულებასთან დაკავშირება).

როგორ უნდა მოხდეს ამის გადათარგმნა საკანონმდებლო რეკომენდაციებად? ერთ-ერთი გამხსნელი წინადადება გახლავთ ის, რომ „კულტურული ეკონომიკის“ კვლევითი ერთეული, რომელსაც მთავრობა დააფინანსებს, DCMS-ის, ან ინგლისის ხელოვნების საბჭოს ფარგლებში დაფუძნდეს. ეს ნაბიჯი სამთავრობო ეკონომისტებს კულტურის სექტორის როგორც პრაქტიკოსებთან, ასევე ადმინისტრატორებთან დააკავშირებს, რათა მათ ორივე ჯგუფისთვის შეიმუშაონ შესაბამისი მიდგომები. ეს კი მთავრობას კულტურის სექტორის ღირებულების უფრო ნათლად გააზრებაში დაეხმარება და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დომინანტური ეკონომიკური პარადიგმის საზღვრებს დაანახებს. ინოვაცია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას დიალოგს საჭიროებს და არა ერთი ლოგიკის სხვებზე უპირატესობის მტკიცებას.

უფრო ზოგად ჭრილში, საინტერესო იქნებოდა იმის განხილვა, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კულტურის ჩართულობამ სამთავრობო გადაწყვეტილებების მთელ იმ სპექტრზე, რომელიც ეკონომიკას შეეხება.

მაგალითად, გადაწყვეტილება განათლების მხარდაჭერის პროგრამის (EMA) შესახებ. EMA-ს გაუქმების მსგავსი გადაწყვეტილებები, რომელიც 16 წლის ზევით ახალგაზრდების განათლებისთვის გრანტების გაცემის არაეფექტურობით აიხსნა, შეიძლება გამართლებული იყოს მოკლე ვადაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში განათლების მიღების პროცესში კულტურული გამორკვევის შესაძლებლობას კარგავს. ამრიგად, მთავრობამ შესაძლოა იფიქროს, რომ ეფექტურობისა და რენტაბელურობის შესახებ ვიწრო დისკუსიების ნაცვლად, ეს მიგნება გადაწყვეტილებებში ასახოს და არჩიოს ჰყავდეს ხარისხიანი განათლების მქონე მოსახლეობა, ვისაც ბაზარზე გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება და შემოქმედებითი პროდუქტის წარმოება შეეძლება, რაზეც შემდგომ პოსტინდუსტრიული ბრიტანული ეკონომიკა უნდა დაფუძნდეს.

კულტურის სექტორის ეს ხედვა, რომელიც საბაზრო იდეოლოგიის საზღვრებს ააშკარავებს, შეიძლება წარმოუდგენლად, ან უტოპიურად ჟღერდეს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კულტურის

სექტორს შეუძლია სწორხაზოვნად განაცხადოს, თითქოს ღირებულებების, მთვლელებისა და ბაზრის საზღვრებთან დაკავშირებული რთული კითხვების შესახებ აქვს პასუხები.

დაჟინებულ მტკიცებად არც ის უნდა იქნას აღქმული, თითქოს მწირი რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას ეკონომიკის სარგებლიანობას უარვყოფთ. ეს, უბრალოდ, ეკონომისტებისა და კულტურის სექტორის წარმომადგენლებისთვის პარტნიორობის შეთავაზებაა, რასაც შესაძლოა იმის პრაქტიკული გააზრება მოჰყვეს, თუ სადამდეა ბაზრის შესაძლებლობები სასარგებლო და სად აღარ; ასევე, პრაქტიკული გაგება იმისა, რაც ხელს შეუწყობს იმ კრიზისის მოგვარებას, რომელშიც ეკონომიკური ხედვები, რომლებიც მხოლოდ ბაზრისა და საზოგადოების სინონიმურობას ეფუძნება, ასე აშკარად ჩავარდა.